ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-69.69220382**

თარიღი:**07/02/2022**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილული იქნა რა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადმოგზავნილი 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის მე -2 პუნქტისა და 61 -ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი1.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, დარგების მიხედვით, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლონ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საქმიანობა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოუდგინონ განსახილველად.

(ბიუროს მიერ დამტკიცებული განრიგის შესაბამისად).

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად

მოახდინოს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.(ი) პირების საქმიანობის ანალიზი და გატარებული ღონისძიების შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მუხლი 3. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას

მუხლი 4.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. .განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი